

**ფსიქიკური ჯანმრთელობა
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)**

ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სერვისები ანაზღაურდება სრულად და არ საჭიროებს მოსარგებლის მხრიდან დამატებით თანაგადახდას.

პროგრამის მოსარგებლები არიან:

- ✓ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში – პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების სახეები:

1. სათემო ამბულატორიული მომსახურება:

მოსარგებლე: პირველადი ჯანდაცვის ექიმის ან ფსიქიატრის მომართვით ან თვითდინებით მისული, სამედიცინო დაწესებულების გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები ნებისმიერი ასაკის პირი

ფსიქიკურ ამბულატორიაში ტერიტორიული პრინციპის დარღვევით მიმართულ პირთა მომსახურება დასაშვებია მათი განცხადების და სამედიცინო დაწესებულების მიერ დადასტურების საფუძველზე.

სერვისები:

- პირველადი კონსულტაცია;
- მეთვალყურეობაზე აყვანა (მოსარგებლის სურვილის შემთხვევაში) და ზრუნვა;
- დიაგნოსტიკა;
- მკურნალობა;
- ექიმ-ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ვიზიტი ბინაზე საჭიროებისას (4 ვიზიტი - 2 თვის განმავლობაში)

2. თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება:

მოსარგებლე: მობილური გუნდის გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები პირი, რომელიც ფსიქიატრიული სტაციონარიდან გაწერის შემდეგ, სულ მცირე ბოლო სამი თვის განმავლობაში არ აკითხავს ფსიქიატრიულ ამბულატორიულ დაწესებულებას

მობილურ გუნდთან ტერიტორიული პრინციპის დარღვევით მიმართულ პირთა მომსახურება დასაშვებია მათი განცხადების და სამედიცინო დაწესებულების მიერ დადასტურების საფუძველზე.

სერვისები;

- ბინაზე მომსახურება, რეგულარული ვიზიტები მოსარგებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სატელეფონო კონსულტაცია;
- ინდივიდუალური მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება;
- ექიმი ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- მოსარგებლის სოციალური უნარ-ჩვევების ტრენინგი, სოციალური პრობლემების მოგვარებაში დახმარება (მოსარგებლის და მისი მხარდამჭერების ინფორმირება ან/და დოკუმენტაციის შეგროვებაში დახმარება ან/და თანხლება სხვადასხვა დაწესებულებებში ვიზიტისას);
- მოსარგებლის, მისი ოჯახის წევრების და მხარდამჭერების ფსიქოგანათლება და მხარდამჭერი ფსიქოთერაპია;

3. ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია:

მოსარგებლე: პირი, რომელსაც აღენიშნება ქრონიკული ფსიქიკური აშლილობა

სერვისები, მოსარგებლის საჭიროებიდან გამომდინარე

- ხელოვნებითი თერაპია;
- დასაქმებითი (ოკუპაციური, ერგო) თერაპია;
- ღია ჯგუფური (ვერბალური) თერაპია;
- სოციალურად დამოუკიდებელი უნარ-ჩვევათა პროგრამა;
- ინტეგრირებული ფსიქოლოგიური თერაპია;
- კოგნიტურ – ბიჰევიორული თერაპია;
- თვითდახმარების ჯგუფებში ჩართვა.

ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის შედეგად, პირმა უნდა შეძლოს დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის საჭირო ბაზისური უნარ-ჩვევათა აღდგენა/შესწავლა.

4. ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობა:

მოსარგებლე 18 წლამდე ასაკის მოზარდები, რომელთაც აღენიშნებათ ფსიქიკური მდგომარეობისა და ქცევის ცვლილება, სოციალური ფუნქციონირების გაუარესება და დეზადაპტაცია

სერვისები:

- დღის სტაციონარის პირობებში, მოსარგებლის მდგომარეობის შესწავლას/დიაგნოსტიკა;

- ნეიროგანვითარებითი და ფსიქიატრიული გუნდის მომსახურება;
- ექიმის დანიშნულებით, მედიკამენტებით (დიაგნოსტიკის პერიოდში), კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევებით, სხვა ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციებით უზრუნველყოფა.

5. ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის სამსახური 16-65 წწ ასაკის მოზრდილთათვის

მოსარგებლე: ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმსა და ქ. რუსთავში მცხოვრები პირები, რომელთაც აღენიშნებათ მწვავე ფსიქოზური სიმპტომები, ან ისეთი ქცევითი და აფექტური სიმპტომები, როდესაც მას ან მის გარშემომყოფთა სიცოცხლეს და/ან ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხე შეექმნას

სერვისები:

- კრიზისული მობილური გუნდის მიერ კრიზისული ინტერვენციის განხორციელება მოსარგებლის საცხოვრებელ ადგილზე დღეში ორჯერადი ვიზიტით
- საჭიროების შემთხვევაში, მის გადაყვანა კრიზისული ინტერვენციის ცენტრში, 3 საათზე მეტი ხნით დაყოვნების შემთხვევაში, ბენეფიციარების უზრუნველყოფა კვებით;
- ცენტრში გადაუდებელი და გეგმური ამბულატორიული კონსულტაციები, მოსარგებლის ფსიქიატრიული შეფასება და მედიკამენტოზური მკურნალობა;
- საჭიროების მიხედვით, სხვადასხვა პროფილის ექიმების კონსულტაცია და კლინიკო-ლაბორატორიულ მონიტორინგი, ინდივიდუალური, ოჯახური და ჯგუფურ ფსიქო-თერაპიული მომსახურება;
- სატელეფონო კონსულტაცია 24 საათის განმავლობაში.

6. ფსიქიკური სტაციონარული მომსახურება მოზრდილებისთვის

მოსარგებლე: 18 და მეტი ასაკის პირი; არანებაყოფლობითი სტაციონარული მომსახურების შემთხვევაში - საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები

სერვისები:

- სტაციონარული მომსახურება
- კვებით, პირადი ჰიგიენის საგნებითა და გადაუდებელი ქირურგიული და თერაპიული სტომატოლოგიური, ასევე სამედიცინო მომსახურებით და წამლის გვერდითი ეფექტების კონტროლის უზრუნველყოფა;
- ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია (ჯგუფური ფსიქოგანათლება/თერაპია ან ოკუპაციური თერაპია ან კოგნიტური რეაბილიტაცია ან დღის აქტივობები: არტთერაპია/ერგოთერაპია, ან ინტეგრირებული ფსიქოლოგიური თერაპია ან

ინდივიდუალური ბაზისური უნარების აღდგენა ან სპორტული/სადღესასწაულო ღონისძიებები).

7. ფსიქიკური აშლილობის მქონე ბავშვთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება

მოსარგებლე: 18 წლამდე ასაკის მოზარდი

სერვისები:

- სტაციონარული მომსახურება, კვებითა და პირადი ჰიგიენის საგნებით უზრუნველყოფა.

თ) ფსიქიკური დარღვევების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა

მოსარგებლე: თანდაყოლილი და შეძენილი ფსიქიკური დაავადებებით გამოწვეული დემენციის მქონე, ან ინტელექტუალური განვითარების შეფერხების გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლისა და მეტი ასაკის პირები, რომელთაც აღნიშნებით ფსიქო-სოციალური ფუნქციონირების ღრმა მოშლა და არ აქვთ შესაბამისი მხარდამჭერი გარემო; ფსიქიკური დარღვევების მქონე პირები, რომელთა ქვეპროგრამაში ჩართვის შესახებ არსებობს რეგიონული საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სერვისები:

- მოვლა-პატრონობისა და ინდივიდუალური რეაბილიტაციის პროგრამების შედგენა და განხორციელება;
- საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევების სწავლება;
- ყოველდღიური მომსახურება მინიმუმ სამჯერადი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტო სადილი;
- საჭიროების მიხედვით შესაბამისი ფსიქიატრიული მომსახურება;
- საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურების ორგანიზების უზრუნველყოფა;
- მოსარგებლეთა შესაძლებლობის გათვალისწინებით, მათი კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, მათ შორის, სპეციალიზებული დაწესებულების გარეთაც;
- მოსარგებლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, სხვადასხვა შრომით აქტივობებში მათი ჩართვის ხელშეწყობა.

თავშესაფრით უზრუნველყოფის მომსახურების მისაღებად:

ფსიქიკური დარღვევების მქონე პირი ან მხარდამჭერი მიმართავს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- პირის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის/ბინადრობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი;
- პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა NIV-100/ა);
- პირის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი;
- პირის ერთი ფოტოსურათი (3X4);
- თუ განმცხადებელი პირის მხარდამჭერია, განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის/ბინადრობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი; ასევე მხარდამჭერის დამადასტურებელი საბუთი.

თავშესაფარში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ზრუნვის სააგენტო უზრუნველყოფს განცხადებით მიმართვიდან 1 თვის ვადაში. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ზრუნვის სააგენტო აცნობებს განმცხადებელს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები იხილეთ:

<https://nha.moh.gov.ge/storage/files/shares/Momwodebeli%20dawesebulebebi/Fsiqikuri%20janmrteლობა.pdf>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 15 05